საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №29/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ 2019 წლის 15 თებერვალს მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ფაქტები:

2019 წლის 11 თებერვალს საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავიდა სიუჟეტი, სადაც აღნიშნული იყო, რომ მოქალაქე -- --, რომელსაც სასამართლოს მხრიდან ჩამორთმეული ჰქონოდა საქართველოს პასპორტი, გადაკვეთა საქართველოს საზღვარი და იმყოფებოდა --.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2016 წლის 13 აპრილს სისხლის სამართლის საქმე №-- ბრალდებულების -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --.

სასამართლო სხდომის ოქმის ამონაწერიდან ირკვევა, რომ 2016 წლის 25 ივლისს, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდებულ -- -- ინტერესების დამცველი ადვოკატის -- -- შუამდგომლობა.

ბრალდებულ -- -- მიმართ -- -- სასამართლოს 2015 წლის 13 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა შეიცვალა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით და -- -- მიმართ გამოყენებული იქნა გირაო.

ამასთან, საქართველოს სსსკ 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, -- -- დაევალა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლოსთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის და პირადობის მოწმობის ჩაბარება.

შესაბამისი საკითხის სრულყოფილად მოკვლევის მიზნით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელდა სისხლის სამართლის საქმის დედანი მასალების -- --სასამართლოში ადგილზე გაცნობა, რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რომ -- -- სახელზე რეგისტრირებული საქართველოს პასპორტი (№--) და პირადობის ელექტრონული მოწმობა (№--), ინახება სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად.

ამასთან, საქმის ყოველმხრივი მოკვლევის მიზნით განხორციელდა ინფორმაციის გამოთხოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან და საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროდან. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 25 ივლისის შემდგომ პერიოდში, -- -- სახელზე გაცემულია ახალი პირადობის ელექტრონული მოწმობა №-- და ბიომეტრიული პასპორტი №--. აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, -- -- საქართველოს საზღვრი გადაკვეთა ახალი ბიომეტრიული პასპორტით სერიული ნომრით --.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 აპრილის დასკვნა:

დისციპლინურ საქმეზე წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2020 წლის 12 ოქტომბერს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით მიიღო დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის გადაწყვეტილებას.

5. მოსამართლის მიერ 2020 წლის 12 ნოემბერს წარმოდგენილი ახსნა-განმარტება:

მოსამართლის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი ახსნა-განმარტების თანახმად, საქართველოს სსსკ-ის 199-ე მუხლის საფუძველზე მოქალაქისთვის პასპორტის ან/და პირადობის მოწმობის ჩამორთმევა არ წარმოადგენს პასპორტის ან/და პირადობის მოწმობის ხელახლა გაცემაზე უარის თქმის საფუძველს. მოსამართლის განმარტებით, არც მისი პრაქტიკით და არც სასამართლოს ზოგადი პრაქტიკით, განჩინებები პასპორტის ან/და პირადობის მოწმობის ჩამორთმევის თაობაზე არ იგზავნება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

6. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედების ჩადენისთვის, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ობიექტურად შეეძლო დისციპლინური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად სათანადო ქმედების განხორციელება,

მაგრამ არ განუხორციელებია ის.

დისციპლინური საჩივარში წარმოდგენილი ფაქტების სამართლებრივად შეფასების მიზნით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსსკ 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ბრალდებულს პატიმრობა ან სხვა აღკვეთის ღონისძიება არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

საქართველოს სსსკ 199-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს: ვალდებულება, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; გარკვეული საქმიანობის ან პროფესიის განხორციელების აკრძალვა; სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში ყოველდღიურად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; ვალდებულება გარკვეულ ადგილას ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ; გარკვეული ადგილის დაუტოვებლობის ან მასში შეღწევის აკრძალვა; სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად.

საქართველოს სსსკ 206-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, მხარე უფლებამოსილია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მაგისტრატი მოსამართლე შუამდგომლობის წარდგენიდან 24 საათში, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, წყვეტს, რა ახალი, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებია დასმული და მტკიცებულებებია წარმოდგენილი, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობაზე. შუამდგომლობის დასაშვებობის თაობაზე მაგისტრატ მოსამართლეს გამოაქვს განჩინება. შუამდგომლობის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში სასამართლო ატარებს ზეპირ მოსმენას ამ კოდექსით დადგენილ ვადაში, ამ მუხლით დადგენილი წესითა და სტანდარტით.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პროცესში მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მხრიდან განჩინების მიღების დროისთვის, -- -- სახელზე რეგისტრირებული საქართველოს პასპორტი (№--) და პირადობის ელექტრონული მოწმობა (№--), ინახება სისხლის სამართლის საქმის მასალებთან ერთად.

საზღვრის კვეთის ფაქტთან დაკავშირებით განხორცილებეული წინასწარი მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 25 ივლისის შემდგომ პერიოდში, -- -- სახელზე გაცემულია ახალი პირადობის ელექტრონული მოწმობა №-- და ბიომეტრიული პასპორტი №--. აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, -- საქართველოს საზღვრი გადაკვეთა ახალი ბიომეტრიული პასპორტით სერიული ნომრით --.

ამდენად, -- -- სახელზე რეგისტრირებული საქართველოს პასპორტის (№--) და პირადობის ელექტრონული მოწმობის (№--) სისხლის სამართლის საქმის მასალებში არსებობის პირობებში, მაშინ

როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ მიუთითებს მოსამართლის მხრიდან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის (სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს) ახალი პასპორტის ან პირადობის მოწმობის გაცემისაგან თავის შეკავების შესახებ სავალდებულო მიმართვის განხორციელებაზე, შეუძლებელია განსახილველი შემთხვევა გახდეს მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზოგადად შესაბამისი კანონისმიერი დანაწესი - პასპორტისა თუ ელექტრონული პირადობის მოწმობის ჩაბარების შესახებ სწორედ იმ მიზანს ემსახურება, რომ ბრალდებულმა არ შეძლოს საზღვრის კვეთა თუ სხვა სამართლებრივი ქმედებების განხორციელება, რაც თავისთავში მოიაზრებს მოსამართლის მხრიდან შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების განხორციელების საჭიროებას, თუმცა კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მოსამართლის მიმართ ასეთი იმპერატიული მოთხოვნის არ არსებობის გამო, შეუძლებელია მოსამართლის უმოქმედობა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომას.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცომის ჩადენის ნიშნებს.

7. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვერ მიიღებს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდება.

2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{13} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №29/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი